ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---აპრილი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, მირზა გელოვანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კინორეჟისორის ომარ გვასალიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, მირზა გელოვანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს კინორეჟისორის ომარ გვასალიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


01.00.287
01.01.834
01.00.142
01.00.100

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

[illegible]
[illegible]
ტ/ნ 01024004935
ტ. 577626217

ბატონო გიორგი,

თქვენდამი მოწერილი ეს განცხადება - წერილი განპირობებულია საქართველოს კინემატოგრაფისტთა საზოგადოების, შემოქმედებითი ინტელიგენციის, ზოგადად თანამოქალაქეთა, რამდენიმე თაობის თბილისელთა სურვილით ვიშუამდგომლოთ თქვეს წინაშე, რათა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ომარ გვასალიას (31.08.1942 -21.04.1992) სახელი.

ომარ გვასალიამ 1968 წელს დაამთავრა საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი.

1968 წელს ა.სტეფანოვიჩთან ერთად, ლენინგრადის სატელევიზიო ფილმების სტუდიაში გადაიღო დოკუმენტური ფილმი ,,ყველა ჩემი შვილია" .

1968-1970 წლებში მუშაობდა საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიაში.

1972 წელს შედგა მისი დებიუტი მხატვრულ კინოში.

მოსფილმის ექსპერიმენტულ გაერთიანებაში დადგა ფსიქოლოგიური დრამა ,,დროებითი მოწმობა" ა. სტეფანოვიჩთან ერთად.

გადაღებული აქვს სხვადასხვა ჟანრის ფილმები: ,,მშვიდობიანი დღეები"(1974), ,,იმედის მწვანე კუნძული"(1978), ,,მშვიდობით მეგობარო"(1980), ,,ქართველები ცაში"(1984), ,,ალყა"(1990).

დაწერილი აქვს სცენარი ფილმისათვის ,,ბედიანი".

ფილმ-ინტერვიუს ჟანრში გადაიღო ფილმები მოზარდთა აღზრდის პრობლემებზე ,,ერთი დღე უნივერსიტეტში"(1968), ,,დიალოგები"(1976), ,,70 შეკითხვა"(1980), ,,გაიცანით ჩვენი შვილები"(1987), ასევე, დოკუმენტური ფილმი ,,ფრესკა".

80-იანი წლების საქართველოს სოციალური და საზოგადოებრივი პრობლემები ასახა ილია ჭავჭავეძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ფილმში ,,რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან"(1987).

მთავარი როლი შეასრულა ფილმში ,,მოგზაურობა სოპოტში".

1974-1991 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოხელოვნების ფაკულტეტზე.

1983-1985 წლებში იყო საქართველოს ტელეფილმების სტუდიის დირექტორი.

1988 წელს გ. ლევაშოვ-თუმანიშვილთან და რ. ხოტივართან ერთად დააფუძნა კინო-ფირმა ,,მთვარის გლობუსი".

ომარ გვასალია დაიღუპა ავტოკატასტროფაში 49 წლის ასაკში.

ომარ გვასალია დაჯილდოებულია ი.ჭავჭავაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის პრიზით, ქართული კინოფესტივალი ,,ოქროს არწივი" და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სხვა პრიზებითა და ჯილდოებით.

ომარ გვასალია ნამდვილად იმსახურებს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს მისი სახელი.

გთხოვთ, დადებითად გადაწყვიტოთ ჩვენთვის ესოდენ საშური საკითხი.

მადლობა წინასწარ.

პატივისცემით:

ელდარ შენგელაია

ლანა ღოღობერიძე

ქეთი დოლიძე

მიშა ჭიარული

ლევან თუთბერიძე

ნიკოლოზ შენგელაია

ოთარ ლითანიშვილი

ოთარ შამათავა

ომარ გვასალია

(1942-1992)

ქართველი კინორეჟისორი, რეჟისორი ფილმებისა: „ალყა“, „ქართველები ცაში“, „დროებითი მოწმობა“, „ერთგული მეგობარი“ და სხვა.

დაამთავრა ვგიკის სადადგმო ფაკულტეტის სარეჟისორო განყოფილება. ლენინგრადის სატელევიზიო ფილმების სტუდიაში გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ყველა ჩემი ვაჟი-შვილია“ ა. სტეფანოვიჩთან ერთად 1968 წელს. 1968-1970 წლებში მუშაობდა საქართველოს ქდსპფ სტუდიაში. 1972 წელს შედგა მისი დებიუტი მხატვრულ კინოში. მოსფილმის ექსპერიმენტულ გაერთიანებაში დადგა ფსიქოლოგიური დრამა „დროებითი მოწმობა“ ა. სტეფანოვიჩთან ერთად. მას მოყვა სხვადასხვა ჟანრის ფილმები „მშვიდობიანი დღეები“, „იმედის მწვანე კუნძული“, „მშვიდობით მეგობარო“ , „ქართველები ცაში“, „ალყა“. დაწერა სცენარი ფილმისათვის „ბედიანი“ (ფილმის რეჟისორი გ. ლევაშოვ-თუმანიშვილი, 1992). წარმატებით მუშაობდა დოკუმენტურ კინოში, როგორც სცენარისტი და რეჟისორი. ფილმ-ინტერვიუს ჟანრში გადაიღო ფილმები მოზარდთა აღზრდის პრობლემებზე „ერთი დღე უნივერსიტეტში“, “დიალოგები“, „70 შეკითხვა“, „გაიცანით, ჩვენი შვილები“, ასევე დოკუმენტური ფილმი „ფრესკა“. 80-იანი წლების საქართველოს მტკივნეული სოციალური და საზოგადოებრივი პრობლემები ასახა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ფილმში „რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან“ . მთავარი როლი შეასრულა ფილმში „მოგზაურობა სოპოტში“ (რეჟისორი ნანა ჯორჯაძე, 1980). ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას რუსთაველის სახელობის

თეატრალური ინსტიტუტის კინო ფაკულტეტზე 1974-დან 1991 წლამდე. იყო საქართველოს ტელეფილმების სტუდიის დირექტორი 1983-1985 წლებში 1988 წელს გ. ლევაშოვ-თუმანიშვილთან და რ. ხოტივართან ერთად დააფუძნა კინო-ფირმა „მთვარის გლობუსი“. მიღებული ჰქონდა „ოქროს არწივის“ ჯილდო.

დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

ფილმოგრაფიიდან აღსანიშნავია:

1972 — დროებითი მოწმობა

1974 — მშვიდობიანი დღეები

1978 — იმედის მწვანე კუნძული

1980 — მშვიდობით მეგობარო

1984 — ქართველები ცაში

1990 — ალყა